

ფინანსური ანგარიშგება

შპს ვიგი+

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
3. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობა				
		31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფინანსური მდგომარეობა				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	1016	83761	42768
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	34751	157622	100792
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4		680	4677
მარაგები	5		659855	767766
მზა პროდუქცია			0	0
სხვა			659855	767766
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8		1199	6186
სხვა არამატერიალური აქტივები	6		3777	6478
ძირითადი საშუალებები	7	22485	168955	229706
სულ აქტივები		58252	1075849	1158373
საიჯარო ვალდებულება	8		13309	8223
სავაჭრო ვალდებულებები	8		1158529	1073837
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	150	32540	28009
საგადასახადო ვალდებულებები		1013	0	0
სხვა ვალდებულებები	8	1181	14563	10267
სულ ვალდებულებები		2344	1218941	1120336
საკუთარი კაპიტალი				
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		55908	-143092	38037
გადაფასების რეზერვი			0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		55908	-143092	38037
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		58252	1075849	1158373
სულ მოკლევადიანი აქტივები		35767	903117	922189
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2344	1218941	1120336

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები		1060246	6960752
საქონლის გაყიდვიდან	9	732183	6310656
მომსახურების გაწევიდან	9	328063	650096
გაყიდვების თვითღირებულება	10	-636681	-5625093
საერთო მოგება		423565	1335659
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	74735	8163
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	-121382	-613283
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	10	-16632	-50549
იჯარის ხარჯი	10	-91525	-546186
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-67417	-307077
სულ საოპერაციო ხარჯები		-222221	-1508932
საოპერაციო მოგება		201344	-173273
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	9		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		201344	-173273
მოგების გადასახადის ხარჯი	10		-3398
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		201344	-176671
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		201344	-176671
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-143092	38037
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	-5263
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-2344	805
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		55908	-143092

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-82745	40993
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		-82745	40993
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		83761	42768

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1016	42768
---	--	------	-------

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი
შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვიგი+ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი: **19/03/2019** დღე-ს გადამხდელია(დან) **19/03/2019** , კომპანიის იურიდიული მისამართი ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ქ., N 14ბ, ბ. 120 . ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გიორგი კობახიძე პირადიN01124099302, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები: ერთპიროვნული 100%-იანი დამფუძნებელი გიორგი კობახიძე პირადიN01124099302.

კომპანია არის სპარის ფრანჩაიზი და ფლობს ოთხ სუპერმარკეტს. საქმიანობის ადგილი არის თბილისი, ს.ჩიქოვანის ქN19/21 , ვაჟა-ფშაველას ქN79, ილია ვეკუას ქN75 და გლდანის 2 მიკრო რ-ნი 28 გ კორობ . კომპანიის ძირითადი , საქმიანობა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.

პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად საცალო ვაჭრობა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით-სალარო აპარატის და უნაღდო ანგარიშსწორებით-პოსტერმინალის საშუალებით .

დამატებითი მარკეტინგული მომსახურეობა ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო -მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი. კომპანიას ოთხივე ფართი აღებულია აქვს ჩვეულებრივი იჯარით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის

შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი

არამატერიალური აქტივები

კომანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	0	31563
ფული საბანკო ანგარიშებზე	1016	52198
ანგარიშვალდებული პირი		
სულ	1016	83761

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	34751	154291
გადახდილი ავანსები	-	680
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
მოთხოვნა ბანკის მიმართ	-	3332
სულ	34751	158303

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 0 ლარის ოდენობით (2023 წელს 0 ლარი).

შენიშვნა 5

მარაგები

	2023	2022
საქონელი	-	644668
ნედლეული და მასალები	-	-
სხვა სმფ	-	15186
სულ	-	659854

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 636681 ლარი.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯართ აღებული ქონების კეთილმო წყობა
31 დეკემბერი 2022	95333	47081	85927	15000	35531
შემოსვლა				-	-
გასვლა	-94139	-26696	-54496	-15000	-35531
31 დეკემბერი 2023	1194	20385	31431	0	0
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2022	29821	20835	36512	1874	14636
პერიოდის ცვეთა		2493	5085	6727	1376
გასვლა		-31341	-12144	-27463	-3250
					-14636
31 დეკემბერი 2023	973	13776	15776	0	0
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	221	6609	15655	0	0

შენიშვნა 7

არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2022	10850	10850
შემოსვლა		0
გასვლა	-9406	-9406
31 დეკემბერი 2023	1444	1444
ცვეთა და გაუფასურება		-
31 დეკემბერი 2022	7073	7073
პერიოდის ცვეთა	951	951
გასვლა	-6580	-6580
31 დეკემბერი 2023	1444	1444
წმინდა საბალანსო ღირებულება		-
31 დეკემბერი 2022	0	0

შენიშვნა 8**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის შეძენები	-	1153756
სხვა ვალდებულებები მომსახურებიდან	1181	18083
მიღებული ავანსები		
გადასახადელი ხელფასები	150	32540
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე		
საგადასახადო ვალდებულება	1013	-1199
სხვა ვალდებულება		14563
სულ	2344	1217743

შენიშვნა 9**ამონაგები**

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	732,183	6310656
მარკეტინგული მომსახურების გაწევა	328063	650096
სხვა რეალიზაცია	74475	7791
კურსთა სხვაობა	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი საშემოსავლო შეღავათი და სხვა	-	-
შემოსავალი დარიცხ.პროცენტებიდან	260	373
სულ	1134981	6968543

შენიშვნა 10

სხვა ხარჯები

	2023	2022
გაყიდული შეძენილი საქონელი	636681	5625093
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	-	54768
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	644	3753
კარტრიჯის დამუხტვა	92	387
უნიქარდის მომსახურება	10858	1539
ვიტრინის წმენდა	255	587
რემონტი კონდინციონერების, მაცივრების და ა.შ.	472	10928
IT მომსახურება	1200	7268
სუბ ფრანჩაიზის მომსახურება	-	112788
საკანცელარიო ხარჯი	-	618
ფართის იჯარა ვაჟა-ფშაველა	28814	172458
ფართის იჯარა ჩიქოვანი	22034	131780
საწყობის ქირა ვაჟაზე	-	-
ფართის იჯარა ვეკუა	27119	162288
ფართის იჯარა გლდანი	13559	79661
კომუნალური მომსახურება	730	-
დიზინფექცია	200	1414
კარების შეკეთება	-	-
დასუფთავების საშუალებები-სამეურნეო ხარჯები	-	17427
დაცვის ხარჯები	432	3458
მაცივრების მონტაჟი და რემონტი	-	-
GPRS-ის მომსახურება+საგარანტიო მომსახ	38	-
სსა ტექნიკური მომსახურება	1020	1311
მანქანასთან დაკავშირებული ხარჯები	2005	1906
	-	-
უსაფრთხოება	-	2847
კომპიუტერული მომსახურება	359	203
დაზღვევა	1190	1529
სავალდებულო დაზღვევა თანამშრომელებზე	131	336
მაღაზიების რემონტი	-	1593
უნიფორმები გადაცემული-გახარჯული	-	504
შესაფუთი მასალები	-	3910
სალაროს აპარატის ლენტები	-	3837
ცვეთა და ამორტიზაცია	16632	50549
თანამშრომელებზე დარიცხული ხელფასები	121382	613283
საპენსიო დანარიცხები	2092	11209
სხვა საგადასახადო ხარჯი ქონების გადასახადი	-	-
საგადასახადო ხარჯი-დღგ	-	2584
საბანკო მომსახურება	6456	49691
საურავები და ჯარიმები	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	37441	10381

იურიდიული მომსახურება	1800	300
მოგების გადასახადი	-	3398
სულ ხარჯები	933637	7145586

შენიშვნა 11

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი/გიორგი კობახიძე/